


# Ceresit CM 17 სუპერელასტიური

ელასტიური თხელფენიანი წებოცემენტი კერამიკული ფილების და ბუნებრივი ქვისთვის


## მახასიათებლები

- სწრაფი შედეგებისთვის: გადაადგილება 12 საათში;
- გაზდილი წებოვნება და დრეკადობა დიდი ფორმატის ფილებისთვის;
- შიდა და გარე გამოყენებისთვის კრიტიკულ ზედაპირებზე;
- უსაფრთხო გამოყენება ექსტრემალურ პირობებშიც კი.



## გამოყენების სფერო

- ▶ დიდი ფორმატის კერამიკული ფილებისა და შავი ბუნებრივი ქვის ფილების დასამუშავებლად (მაგალითად, რუხი ფიქალი, „Giallo Romano“-ს გრანიტი). ღია ფერის ბუნებრივი ქვისთვის გამოიყენეთ - Ceresit CM 25 ან Ceresit CM 115
- ▶ განკუთვნილია შეწოვადი და არაშეწოვადი ზედაპირებისთვის. შესაძლებელია იქნას გამოყენებული ისეთი დეფორმირებად ზედაპირებზე, როგორცაა დამუშავებული გიფსოკარდონები ან დაპრესილი ნახერხისგან დამზადებული დაფები, OSB.
- ▶ განკუთვნილია შიდა და გარე პირობებში. ასევე მუდმივ ტენიანობის შემცველ გარემოში; გამოიყენეთ მხოლოდ წყალგაუმტარ პროდუქტებთან კომბინირებით ფილებს ქვემოთ (Ceresit CL 50, CL 51, CR 166).
- ▶ განკუთვნილია გამოსაყენებლად საცხოვრებელ კორპუსებში, საზოგადოებრივ ან/და კომერციულ შენობებში.
- ▶ განკუთვნილია ბეტონის საცურაო აუზების დასამუშავებლად, მოპირკეთებული შუშის კერამიკული მოზაიკით; გამოიყენეთ მხოლოდ წყალგაუმტარ პროდუქტებთან კომბინირებით ფილებს ქვემოთ (Ceresit CL 50, CR 166 და Ceresit CL 152).
- ▶ განკუთვნილია კრიტიკული ზედაპირებისა და ცემენტის ბაზაზე დამზადებული წყალგაუმტარი დასაკავშირებლად შესაერთებლად.
- ▶ განკუთვნილია აივნებისა და ტერასებისთვის, გამოიყენეთ მხოლოდ წყალგაუმტარ პროდუქტებთან კომბინაციამო
- ▶ განკუთვნილია წყლის ავზების დასამუშავებლად.
- ▶ განკუთვნილია ახალი ფილების დასაგებად უკვე არსებულ ფილებზე, წინასწარი დამუშავებითა და დაგრუნტვით.



## ზედაპირის მომზადება

„Ceresit CM 17“ შესაძლებელია იქნას გამოყენებული მაღალი დატვირთვის სივრცეებში; სუფთა და მშრალ სადაც არ იქნება ადჰესიურობისთვის ხელისშემშლელი ნივთიერებები (ცხიმი, ბიტუმი, მტვრი). მტვრის, დაზიანებული ზედაპირის ან სუსტი ადჰეზიის მქონე საღებავების ნებისმიერი კვალი უნდა იქნას მოცილებული მექანიკურად.

### შენიშვნა:

ზედაპირის დასაგრუნტად „Ceresit CT 17“\_ი პრაიმერით აუცილებელია:

- ▶ ცემენტისა და კირის ბათქაში (სულ მცირე 28 დღის);
- ▶ ცემენტის საფარი „ჭიმი“ (სულ მცირე 28 დღის);
- ▶ ბეტონი (სულ მცირე 6 თვის);
- ▶ მცურავი ბეტონი (AAC);
- ▶ თაბამირის ბათქაშები (ტენიანობა 2%-ზე ქვემოთ);
- ▶ გიფსოკარდონები.

პრაიმერის შრობის დრო შეადგენს მაქსიმუმ 4 საათს.

„Ceresit CT 19 Beton Contact“ პრაიმერი გამოიყენება არაშეწოვად ზედაპირებზე:

- ▶ კარგად გამშრალი ბეტონი, წინასწარ გაწმენილი მტვრისგან;
- ▶ არსებულ ფილებით მოპირკეთებულ საფარზე.

ზედაპირის ნებისმიერი უსწორმასწორობისთვის, „Ceresit“-ის ასორტიმენტადან გამოყენებული იქნება თვითსწორებადი მასალები CN ჯგუფიდან. ხოლო „Ceresit CT 29“ კედლების დასამუშავებლად, დაახლოებით. 8მმ.-მდე არსებული უსწორმასწორობების მქონე პატარა ზონების დასამუშავებლად.

**შენიშვნის გარეთ:**

- ▶ ბეტონი (მინიმუმ 3 თვის, ტენიანობით < 3%), დაგრუნტული „Ceresit CT 17“-ით;
- ▶ ქვიშა - ცემენტის ზედაპირი და ბათქაშები, ჭიმი, ასევე კირის ბათქაშები (მინიმუმ 28 დღის, ტენშემცველობით < 3 %), დაგრუნტული „Ceresit CT 17“-ით.
- ▶ არაშეწოვადი ბეტონის დასამუშავებლად „Ceresit CT 19 Beton Contact“ პრაიმერი.

კერამიკულ ფილებს არ სჭირდებათ გამოყენებამდე წყალით დანაშა.

**გამოყენება**

ერთი ტომრის შემცველობა უნდა ჩაიყაროს მითითებული წყლის ოდენობაში და მოვურით პროფესიული მიქსერით სანამ არ მივიღებთ ერთგაროვან მასას. დაახლოებით 5 წუთის შემდეგ, კვლავ მოვურიეთ. წებოცემენტის მასის კონსისტენცია უნდა იქნას მორგებული ფილის ფორმასთან და იმ ზედაპირთან, რომელზეც ხდება მისი დატანება (ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად). წებოცემენტი უნდა იქნას დატანებული ფილის ქვეშ კბილებიანი სპატულათი, რომელიც შეირჩევა ფილის ზომის შესაბამისად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფილის შიდა მხარე დაიფარება წებოცემენტით. შენობის შიგნით, დაფარვა უნდა იყოს მინიმუმ 65%-70%, ხოლო შენობის გარეთ და ძლიერი საგზაო მოძრაობის ზონებში დაფარვა უნდა იყოს 100%.

დიდი ფილების გამოსაყენებლად შენობის შიგნით და ძლიერი საგზაო მოძრაობის ზონებში, რეკომენდირებულია ორმაგი „კომბინირებული“ დატანება (წებოცემენტის დატანება უნდა მოხდეს როგორც ზედაპირზე, ასევე ფილების შიდა მხარეს). შენობის გარეთ გამოსაყენებლად, მიუხედავად ფილების ზომისა, გამოყენება სავალდებულოა.

ორმაგი შეწებება უზრუნველყოფს კარგ შეერთებას, დაახლოებით 100%-იანი ეფექტურობით; ფილასა და ზედაპირს შორის.

ფილების ფიქსაცია უნდა მოხდეს ღია დროის ფარგლებში. ახლად დატანებული წებოცემენტის მოცილება შესაძლებელია წყლით, ხოლო გამაგრებული მასასის მოცილება შესაძლებელია მხოლოდ მექანიკურად.

დიდ ზონებზე ფილების დაგების დროს (35კვ.მ² მეტ ფართზე), ტემპერატურული შოვების დამუშავება უნდა მოხდეს სპეციალური ელასტიური მასალებით.

„Ceresit CM 17“ შეიცავს ცემენტს და მორევის პროცესის დროს ადგილი აქვს ტუტე რეაქციას – შესაბამისად, კანი და თვალები უნდა იქნას დაცული. თვალში მოხვედრის შემთხვევაში, მოიბანეთ უხვი რაოდენობის წყლით და მიმართეთ სამედიცინო დახმარებას.

**დამატებითი ინფორმაცია**

კერამიკული ფილების დასამონტაჟებლად გვერდის სიგრძით >120 სმ., გთხოვთ დაუკავშირდეთ „Ceresit“-ის ტექნიკურ სამსახურს.

ფერის დაკარგვისკენ მიდრეკილი ქვის ფილების დამონტაჟების შემთხვევაში, აუცილებლად უნდა ჩატარდეს ტესტები ფილის ნიმუშზე იმის სანახავად, იწვევს თუ არა კირსნარი ფილების გაუფერულებას.

ყველა წარმოდგენილი მონაცემი მიღებულ იქნა გარემოპირობებში ტემპერატურით +23 °C და ჰაერის ფარდობითი ტენიანობით 50 %, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს სხვაგვარად არ იქნება აღნიშნული. გთხოვთ გახსოვდეთ, რომ სხვა კლიმატურ პირობებში, გაშრობის დრო შესაძლოა იქნას დაჩქარებული ან შეფერხებული. აქ მოცემული ინფორმაცია, კერძოდ ჩვენი პროდუქციის დამუშავებასა და გამოყენების შესახებ ინფორმაცია, ეფუძნება ჩვენს პროფესიულ გამოცდილებას.

ვინაიდან მასალები და პირობები შესაძლოა განსხვავდებოდეს თითოეული გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც სცდება ჩვენი კონტროლის ფარგლებს, ჩვენ დაჟინებით გირჩევთ, რომ ჩატაროთ საკმარისი რაოდენობის ტესტები თითოეული ინდივიდუალური შემთხვევისთვის, იმაში დასარწმუნებლად, არის თუ არა ჩვენი პროდუქტები შესაფერისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. ჩვენ არ ვიღებთ რაიმე სამართლებრივ პასუხისმგებლობას ამ საინფორმაციო ფურცლის შინაარსის საფუძველზე ან ნებისმიერი სიტყვიერად მიცემული რჩევისთვის, გარდა იმ შემთხვევისა თუ ჩვენი მხრიდან ადგილი არ ექნება აშკარა შეცდომას ან დაუდევრობას.

**ვარგისიანობის ვადა**

შეფუთვაზე მითითებული დამზადების თარიღიდან 12 თვე, -20 °C და 50 °C ტემპერატურის ფარგლებში, წყალთან უშუალო კონტაქტში შესვლის გარეშე, მშრალ პირობებში. პალეტებზე მოთავსებული მასალა, ხელუხლებელ პირობებში დამცავი ცელოფანის დაზიანების ან მოხსნის შემთხვევაში, პროდუქტი უნდა იქნას შენახული დაუზიანებელ თავდაპირველ შეფუთვაში, მშრალ პირობებში და დახურულ სივცეში.

**შეფუთვა**

25 კვ. ქალაღის ტომრები

**ტექნიკური მონაცემები**

ბაზა:	ცემენტის მინარევი მინერალური ნივთიერებებით და სინთეტიკური რეზინის დანამატებით
სიმკვრივე:	1,36 კგ/დმ <sup>3</sup>
შერევის თანაფარდობა:	7 - 7,5 ლ. წყალი
გამოყენების ტემპერატურა:	5°C -დან +30°C-მდე
გამოყენების დრო:	c. 2,5 საათი
ღია დრო:	c. 30 წუთი
მოცურება:	≤ 0,5 მმ.
გრუტირება:	12 საათის შემდეგ
წებოვნება SR EN 12004-1:2017 სტანდარტის შესაბამისად	
საწყისი:	≥ 1,0 N/mm <sup>2</sup>
წყალში ჩაშვების შემდეგ:	≥ 1,0 N/mm <sup>2</sup>
წებოვნება დროის გასვლის შემდეგ	
სიციხის პირობებში:	≥ 1,0 N/mm <sup>2</sup>
გაყინვის/დნობის ციკლების შემდეგ:	≥ 1,0 N/mm <sup>2</sup>
განივი დეფორმაცია:	S1
სავარაუდო ხარჯი:	1,4 - 5 კგ/მ <sup>2</sup>

ფილის განზომილება	კბილიანი ფიტხის განზომილება	CM 17 მოხმარება (კგ/მ <sup>2</sup> )
≤ 10 სმ	4 მმ.	1,4
≤ 15 სმ	6 მმ.	2,0
≤ 25 სმ	8 მმ.	2,8
≤ 30 სმ	10 მმ.	4,0
30 სმ.-ზე მეტი	მინ. 12 მმ.	4,2

მოხმარება შესაძლოა განსხვავდებოდეს ზედაპირის უსწორმასწორობის დონის, ფიტხის კბილის ზომისა და ფილის ტიპის მიხედვით.

